



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 108

ქ. გარდაბანი

31/10/2022

108-06-4-202210311804



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების-ამბულატორიების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე მუხლის პირველი ნაწილისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 24 ოქტომბრის №18-182229718 მომართვის საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დანართში მითითებული, უძრავი ქონება-ამბულატორიები, შემდგომში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე